ლაშა მძინარაშვილი
(საქართველო)

ქართული ტრადიციული ცეკვის თანამედროვე ქორეოგრაფიულ ტენდენციებთან სინთეზის საკითხისათვის

მოცემულ მოხსენებაში მსურს წარმოგიდგინოთ ქართული ცეკვის თანამედროვე ტენდენციებთან სინთეზის ჩემეული პრაქტიკული გამოცდილება და ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიების მცდელობები ქორეოგრაფიასა და კინოინდუსტრიაში.ჩემს ინტერესს ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა კულტურათა კავშირი, სადაც ხდება მეტყველება სხეულით და ერთმანეთის იდენტობის გაზიარება. ეს არის ის ენა, რომლითაც ერები საუბრობენ და მოძრაობის გადმოცემით უზიარებენ სათქმელს. მქონია საშუალება პროექტებით ჩავრთულიყავი და გამეკეთებინა სხვადასხვა ქვეყნის თუ ცეკვის ჟანრების კოლაბორაცია, რაც გახდა უნიკალური მაგალითი თუ როგორ შეგვიძლია ყველამ ერთ ენაზე ვილაპარაკოთ და მოვახდინოთ კულტურათა დიალოგი. ესპანელი მოცეკვავე ხენარო არტეაგა, რომელიც 50 წელია საცეკვაო ხელოვნებით არის დაკავებული, 2018 წელს ჩემი მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში, სადაც ჩაატარა ფლემენკოს ცეკვის მასტერკლასები ქართველი მოცეკვავეებისთვის. ამ პერიოდში მაქსიმალურად ვეცადე მისთვის ახლოს გამეცნო ქართული ცეკვა და პოლიფონია. პროცესში კი დაიბადა იდეა ექსპერიმენტის სახით გაგვეკეთებინა ესპანური და ქართული ცეკვის სინთეზი. ასევე, ხენარო არტეაგამ „ჩიხლაძეების“ შესრულებულ სიმღერის „კართან მოდგა შემოდგომა“ მოსმენის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ ზემოთ ხსენებულ ნაწარმოებზე შეესრულებინა იპროვიზირებული ესპანური ცეკვა „ფლამენკო“. შესრულებული ცეკვით ჩვენ ვნახეთ თუ როგორ გადმოსცემდა სიმღერის ხასიათს ქორეოგრაფიით ესპანელი მოცეკვავე, რომელსაც სასიმღერო ტექსტი შეგნებულად არ ვუთარგმნეთ. ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო, თუ როგორ მოახერხებდა მოცეკვავე დინამიურ „ფლამენკოს“ ლირიულად გარდაქმნას და ესპანური ხასიათის მორგებას. მოგეხსენებათ ესპანური ცეკვა „ფლამენკო“ ცეცხლოვანი და რიტმული ცეკვაა, რომელიც შედგება ესპანური, ბოშური და არაბული ცეკვების სინთეზით. „ფლამენკო“ ანდალუსიაში დაიბადა და სრულყოფილი სახე 18-ე საუკუნეში მიიღო და ის ჩამოყალიბდა როგორც მუსიკისა და ცეკვის კერძო ჟანრის სახეობა. ტრადიციულად „ფლამენკო“ ცეკვის, სიმღერისა და გიტარის თანხლებით სრულდება. ცეკვას თან ახლავს შეძახილები, ტაში, თითების ტკაცუნი, მამაკაცები ცეკვას ასრულებენ ფეხების ძლიერი რიტმული მოძრაობით,

ქალები ხელებისა და ტანის ცეცხლოვანი მოძრაობით. 2010 წლის 16 ნოემბერს, იუნესკომ „ფლამენკოს“ კაცობრიობის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა. 2019 წელს კანარიაზე „ფლამენკოს“ აკადემიის მიწვევით ვიმყოფებოდი, რომელსაც ბატონი ხენარო არტეაგა ხელმძღვანელობს, სადაც უკვე მე ჩავატარე ქართული ცეკვების მასტერკლასები ესპანელი მოცეკვავეებისთვის. პროექტის ფარგლებში ბატონ ხენაროსთან ერთად წარმოვადგინეთ ქართული და ესპანური ცეკვის ერთობლივი პერფორმანსი, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ეპანეთში, ისე საქართველოში და სოციალური მედიის პლათფორმებზე პოპულარობაც მოიპოვა. ეს ცეკვა გახდა ორ ქვეყანას შორის მეგობრობის და კულტურული საერთო ღირებულებების წარმოჩენა. პროექტზე მუშაობისას პრაქტიკაში გამოიკვეთა ის საერთო ხაზები, რომლებიც ორი ქვეყნის იდენტობას გააჩნია. რიტმი, ტაქტი, მამაკაცის ძლიერი და მკაცრი ფეხებით საცეკვაო ლექსიკა, ასევე, ქალის ხელის და ტანის სულში ჩამწვდომი ტემპერამენტული მოძრაობები, სიმღერა და მუსიკა, რომელსაც ახასიათებს მომეტებული ემოციური აღგზნებულობა, მოქნილი კილო, საუცხოო მისთვის დამახასიათებელი რიტმი და ქრომატიზმების სიუხვე. მუშაობის პროცეში ამ ყოველივეს გძნობ და ეხები, აღმოაჩენ, რომ ხელოვნებას მსოფლიო კულტურის სალაპარაკო საერთო ენა მხოლოდ და მხოლოდ გამომსახველობითია. ამ დროს ხდება საცეკვაო თუ მუსიკალური ტექნიკის გაცვლა, ეს კი მრავალფეროვანს ხდის ხელოვნებას, რომელსაც თიოეული ქვეყანა წარმოადგენს. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, რომელიც ჩვენი სახლია, აუცილებელია სახლში ოთახის კარებები იყოს ღია, რათა თანაცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს. პროექტის სამუშაო პროცეს რომ დავუბრუნდეთ, ხაზგასმით პირველივე შეხვედრაზე აღმოაჩენთ მსგავსებებს, მაგ: როგორც ქართულ ხალხურ ცეკვებშია ქალისა და მამაკაცის ცეკვისას დაცული დისტანცია, რომ მამაკაცი არ ეხება ქალს, იგივე შეგვიძლია ვთქვათ მუსიკალურ რიტმზე, ემოციების გამოხატულება, ისტორიის, სასიმღერო თუ კომპოზიციურ დრამატურგიულ გადმოცემაზე. მოგეხსენებათ ცეკვა რიტმულ მოძრაობათა კომპლექსია და ყოველი მოძრაობა ადამიანის მდგომარეობასა და ყოფას გადმოსცემს, რომელიც მუსიკალურად ორგანიზებულია და ეს ყოველივე ქმნის სიუჟეტს, რომელიც კონკეტულ ისტორიას გადმოსცემს. ქართული ცეკვაც დატვირტულია როგორც საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, საბრძოლო და სარიტუალო შინაარსით. დროთა განმავლობაში ქორეოგრაფიული ხელოვნება ვითარდებოდა როგორც საცეკვაო ლექსიკის ტექნიკით, ისე მუსიკალურად, ტრადიციული კოსტიუმით და თანამედროვე ტენდენციებით. ყოველი შემსრულებელი ინდივიდუალურ სულს და სტილს აძლევდა, რომელიც დღემდე გრძელდება. ოღონდ ეს პროცესი ძალიან საფრთხილოა, თუ როგორ შეიძლება

განვავითაროთ ეს ხელოვნება ისე რომ ავთენტური ხაზი არ გაწყდეს. თუმცა, ხელოვნება თავისუფალია და ღია იმ ხელოვანებისთვის, ვისაც წარსულზე აქვს გამყარებული ცოდნა და ამ გამოცდილებით ქმნის და ეძებს ახალს. როგორც მყარი საძირკველი, რომელიც საუკუნეებს უძლებს და ამით არის უნიკალური მისი არსებობა. თანამედროვე მსოფლიო კულტურის განვითარება, ხშირად მივიწყებული თუ ნაკლებად ცნობილი ნიმუშების აღმოჩენით მდიდრდება და იძენს ახალ სულს, რაც შემიძლია საკუთარი გამოცდილების მაგალითით გაგიზიაროთ როდესაც მიმიწვიეს ინგლისში ქალაქ ლონდონში, ჰოლივუდის ფილმზე „კინგსმენი“ ანუ „მეფის კაცი“ ზე სამუშაოდ. ფილმის მთავარ გმირს უნდა შეესრულებინა ბრძოლის სცენა ფოლკლორული ცეკვის ელემენტებით. 15 ქვეყანა იღდებდა კონკურსში მონაწილეობას, სადაც მე როგორც ქართული საცეკვაო ფოლკლორის წარმომადგენელი გახლდით. ჩვენდა საბედნიეროდ, არჩევანი ქართულ ცეკვაზე შეაჩერეს და დამავალეს როგორც ბრძოლის სცენის დადგმა ცეკვის ელემენტებით, ასევე, მისი შესრულება და მთავარი გმირის დუბლირების გაკეთება. პირველი სამუშაო კვირა ყველაზე რთული აღმოჩნდა, იმიტომ რომ მე არ მქონდა საბრძოლო ხელოვნებისა და კასკადიორად მუშაობის გამოცდილება, თუმცა ჯგუფმა, რომელიც ლეგენდარული მსახიობისა და კასკადიორის „ჯეკი ჩანის“ ხელმძღვანელიბით ამ ფილმზე მუშაობდა, ყველაფერი გააკეთეს, რომ ესწავლებინათ საჭირო ელემენტები შესარულებლად, ასევე, ძალიან დამეხმარა საცეკვაო ტექნიკა და უნარები ამა თუ იმ მოძრაობის შესარულებლად. ქართული ცეკვა ხომ ჩვენი ისტორიული წარსულის ანარეკლია, სადაც ბრძოლას ძალიან დიდი ადგილი უკავია და საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლროში ისახება. სამუშაო პროცესი ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამა თუ იმ ილეთის შერწყმა საბრძოლო ხელოვნებასთან, სხვადასხვა კუთხის ცეკვების ერთობლივად გამოყენება. თუმცა, მუშაობის პროცესში ბევრი რამ გამოიკვეთა და ავარჩიე მთის რეგიონი, საიდანაც ძრითადად ავიღებდი საცეკვაო ლექსიკას, ხოლო ეს კუთეები გახლდათ, მთიულეთი და ხევსურეთი, მთის ცეცხლოვანი და რიტმული მკაცრი მოძრაობები ფარიკაობით და საჰაერო მუხლურა მოძრაობებით. სიტუაციას ის ართულებდა, რომ ფილმს პერსონაჟი არაქართველი გახლდათ და ამ ყოველივეს გამომსახველობითი ენა სხვა ეროვნებით მოხდებოდა, ცოტა არ იყოს და არასასიამოვნო და არაკომფორტული იყო. თუმცა, რეჟისორის ჩანაფიქრი სულ სხვა იყო. ის ფიქრობდა მხოლოდ ბრძოლის სანახაობრიობიდან გამომდინარე და ეროვნულობას მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ამ ყოველივემ კი უფრო გამიადვილა ფილმზე მუშაობა და მომიხსნა ყველა ბარიერი. ფილმმა გამოსვლისთანავე ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა და მთავარ სცენად სწორად ქართული ცეკვის ილეთებით შესრულებული სცენა გამოარჩიეს,

რამაც 2022 წელს დიდი წარმატება მოუტანა როგორც მე, ფილმს, ქართულ ცეკვასდა საქართველოს,ისე მსოფლიო კინოინდუსტრიას. ჰოლივუდში კასკადორების უმაღლეს დაჯილდოვებაზე „ტაურუსი“, რომელიც ცნობილია როგორც კასკადიორების „ოსკარი“, ეს სცენა მოხვდა ნომინირებული, მსოფლიოში 5 საუკეთესო ბრძოლის სცენის კატეგორიაში. თუმცა, ეს ყველაფერი არ იყო, როდესაც ჩავედი დაჯილდოვებაზე, მოხდა უფრო დიდი სასწაული და გავხდი გამარჯვებული. ეს იყო პირველი პრეცენდენტი, როდესაც ჰოლივუდში ამ დაჯილდოვებაზე მოცეკვავემ გაიმარჯვა კასკადიორული და ბრძოლის საუკეთესო შესრულებაში. ასევე, საქართველოს ისტორიაში გავხდი პირველი ქართველი მოცეკვავე, რომელმაც ეს ჯილდო ჰოლივუდში მოიპოვა. წელს კი უკვე ამავე დაჯილდოვების ჟიურის წევრად და პრეზენტატორად მიმიწვიეს. ეს ყოველივე ქართული ცეკვისა და ფოლკლორის დამსახურებაა, მაგალითი თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ტრადიციული ხელოვნება ისე, რომ არ დაიკარგოს ავთენტური ხაზი, ამავდროულად მსოფლიოსთვის გახდეს აღმოჩენა და სიახლის შემტანი ხელოვნების ამ დარგში. ამ მიმართუებაზე მუშაობამ ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა და ეხლა უკვე როგორც ახალ პროფესიად მიქცია. იმედს ვიტოვებ, კიდევ მომეცემა საშუალება, რომ შევქმნა და განვავითარო ხელოვნების ეს დარგი. უფრო მეტი ქართული ელემენტებითა და ამ მიმართულებით დაიმკვიდროს მისი ღირსეული ადგილი მსოფლიო კინოიდუსტრიაში. ქორეოგრაფია, როგორც კინესტიკური გამოხატულების საშუალება, სხვადასხვა სტილით გვხვდება, საუკუნეების განმავლობაში იძენდა და იცვლიდა განსხვავებულ ფორმებსა და კონკრეტულ ჟანრად ყალიბდებოდა, მსგავსად როგორც მუსიკალურ სამყაროში. თანამედროვე ცეკვა განვითარდა მეოცე საუკუნეში, თანამედროვე, პოსტმოდერნული და თანამედროვე ცეკვის პიონერი, ამერიკული ბალეტის მოცეკვავის აიადორა დუნკანის წყალობით. მან 1900-იანი წლების დასაწყისში უარყო კლასიკური ცეკვისა და ბალეტის ხისტი ტექნიკები ადამიანის სხეულის ბუნებრივი ხაზებისა და ენერგიის ათვისების სასარგებლოდ. ამით იგი მიზნად ისახავდა ცეკვის სტილის შექმნას უფრო რბილი საცეკვაო მოძრაობითა და ემოციური რეზონანსით. სხვა ცნობილი მოცეკვავეები და ქორეოგრაფები სწრაფად მიჰყვნენ დუნკანის ხელმძღვანელობასა და თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ინოვაციებზე, რომლებმაც საბოლოოდ განსაზღვრეს თანამედროვე ცეკვა და ჩვენ მივიღეთ ახალი ჟანრი „თანამედროვე ცეკვა“. ეს მიმართულება არის უფრო ინტერპრეტაციული ცეკვის სტილი, რომელიც მოიცავს ინოვაციებს, აერთიანებს ტექნიკებს სხვადასხვა ჟანრებიდან, მათ შორის კლასიკური ბალეტი, ჯაზი, ფოლკლორი, თანამედროვე ცეკვა და ლირიკული ცეკვა. ცეკვის ეს ჟანრი არ არის შეზღუდული წესებით, რომლებიც არეგულირებენ ტრადიციულ ცეკვის ფორმებს. ამის ნაცვლად, ის ეყრდნობა

იმპროვიზაციასა და მრავალფეროვნებას. ასევე, ახასიათებს მოძრაობის თავისუფლება, რაც საშუალებას აძლევს მოცეკვავეებს გამოიკვლიონ გონება-სხეულის კავშირი და იდეალურად გამოიწვიონ ემოციები აუდიტორიაში.

თანამედროვე ცეკვა ზოგჯერ განიხილება მოთხრობის ფორმად და მოცეკვავეებმა შეიძლება გამოიყენონ ეს საშუალება პერსონაჟების გამოსახატად, მოვლენების განმეორებით ან პირადი ისტორიების გადმოსაცემად. მის რუტინას ასევე შეუძლია აბსტრაქტული იდეების კომუნიკაცია, როგორიცაა ეთიკური ღირებულებები, საკუთარი თავის მიღება და სოციალური საკითხები. კოსტიუმები, როგორც წესი, ასახავს თანმხლები მუსიკის თემას ან ტონს და მოცეკვავეები ხშირად ასრულებენ შიშველი ფეხებით. შემსრულებლებს შეუძლიათ ამ ტიპის ცეკვა შეასრულონ სხვადასხვა მუსიკალურ სტილზე, სალაპარაკო ლექსებზე და სიმღერებზე, ან სიჩუმეზე. 2017 წელს თბილისში „საშა ვალცის“ დასის ქორეოგრაფმა, იაპონელმა ტაკაკო სუზუკიმ, რომელიც ბერლინში მოღვაწეობს, გოეთეს ინსტიტუთან ერთად გადაწყვიტა გაეკეთებინა თანამედროვე და ქართული ცეკვის სინთეზით აწყობილი პერფორმანსი „ერთ სახეობაზე მეტი“, პროექტი მოიცავდა როგორც ქორეოგრაფიულ, ასევე მუსიკალურ სითეზს თანამედროვე და ფოლკლორული მიმართულებით. მე გახლდით ამ პროექტის მოცეკვავე მსახიობად მონაწილე, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე, თუ როგორ შეიძლება კანონიკური მოძრაობიდან თავისუფალ და იმპროვიზირებული ცეკვით ისაუბრო. დადგმა წარმოადგენს დიალოგს ქართულ კულტურასა და საზოგადოებაში შეფარული და იმავდროულად გაცხადებული სექსუალობის შესახებ. მისი ძირითადი ღერძია სხეულის აღქმა, მისი გამოხატვის თავისუფლება და შეზღუდვები. ქორეოგრაფთან და კომპოზიტორთან ერთად, ჩვენ შევქმენით პერფორმანსი, სადაც სამუშაო პროცესი გახდა ჰარმონიული ტრადიციული ილეთებთან ერთად, თითქოს კიდევ ერთი განსხავებული ჟანრი როგორც ეთნო-თანამედროვე ცეკვა, გაჟღენთილი ტრადიციული სურნელით ახალ კოსტუმში. ცეკვა, რომელიც კაცობრიობის არსებობისთანავე გაჩნდა, დღემდე ვითარდება დროსთან და ყოველდღიურობასთან ერთად, როგორც სამყაროს თანამედროვე, თანამზავრი და ისტორიის ჟამთა აღმწერელი. ქორეოგრაფია ყოველთვის იქნება ერთა შორის გამორჩეული, თავისი ხასიათითა და იდენტობით. მაგრამ, საინტერესოა, როგორი იქნება მომავლის ევოლუცია ქორეოგრაფიაში, რაც გარდაუვალი იქნება და ვერ შეაჩერებს ადამიანი.